კონსტრუქციული დასკვნა

ობიექტი:
ქ. თბილისში, გოგებაშვილის ქ.№48 ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ღობეების დემონტაჟი

საგანი:
მომიჯნავე ნაკვეთებზე მდებარე შენობების უსაფრთხოება

სადემონტაჟო ნაკვეთის საკადასტრო კოდია 01.15.02.052.009, ხუთი ცალკემდგომი ნაგებობით - 1/1, 2/1, 3/1, 4/1, 5/1. საპროექტო შენობის ტერიტორიას ემიჯნება სამი ნაკვეთი საკადასტრო კოდებით 01.15.02.052.004, 01.15.02.052.005, 01.15.02.052.010. სადემონტაჟო ნაკვეთის საზღვართან განთავსებულია ორსართულიანი შენობა გოგებაშვილის ქუჩიდან და ერთსართულიანი - გ.რჩეულიშვილის ქუჩიდან. აღნიშნულ შენობებს უშუალოდ ემიჯნება მცირე ზომის ერთსართულიანი ნაგებობა: 6კვ.მ. ფართით (3/1) 2 სართულიან სახლთან და 11 კვ.მ. ფართით (5/1) 1 სართულიან შენობასთან. აღნიშნულ სადემონტაჟო ნაგებობებს არ გააჩნიათ კონსტრუქციული კავშირი მომიჯნავე შენობებთან.

როგორც ქუჩების კუთხეში განლაგებული ძირითადი შენობის (1/1), ასევე მცირე ზომის ნაგებობების (2/1, 3/1, 4/1, 5/1) და მიმდებარე ღობეების დემონტაჟი უნდა განხორციელდეს მძიმე ტექნიკის გამოყენების გარეშე, მუშის ძალით და შესაბამისი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით: III-15-80, III-4-80.

ზემოაღნიშნული მონაცემების და აგრეთვე, რეკომენდაციის გათვალისწინებით გოგებაშვილის ქ.№48 ნაკვეთზე მდებარე შენობა-ნაგებობების და მიმდებარე ღობეების დემონტაჟი არ მოახდენს უარყოფით გავლენას მომიჯნავე შენობების მდგრადობა-მზიდუნარიანობაზე.

მშენებლობის ინჟინერ-კონსტრუქტორი;
რეგისტრირებული ექსპერტი; ტ.მ.დ. ე. წოწერია

თბილისი 30-06-2015